№ 172

შაბათი, 12 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 172

შაბათი, 12 აგვისტო 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

## სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათუთაქის ზირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1596—11).

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 10 აგვისტოს, შემდეგი უბედურება მოხდა: მიხეილის ხიდის ქვემოდგან, დოლანოვის წისქვილთან წყალში ახლად გაკეთებულს წისქვილის ნავს უშვებდნენ; ჩაშვების დროს ნავი უცებ ჩაცურდა წყალში, გადაბრუნდა და ერთი კაცი ქვეშ მოიყოლა. ამის გამო წყალში ჩახტა ოც-და-ათამდის კაცი; ბევრი ეწვალნენ ნავი გაესწორებინათ, მაგრამ ამასობაში ეს ნავი და რამდენიმე კაცი წყალმა წისქვილის ბორბალის ქვეშ შეითრია; ნავი და ბორბალი ერთიანად დაიმსხვრა. როგორც ამბობენ, ამ შემთხვევაში ექვსი კაცი უმსხვერპლია წყალს.

*** ახატანში მომხდარ ამბის შესახებ გვატყობინებენ: დაჭრილთა შორის არის აგრეთვე აზნაური კ—შვილი. პოლიციის ბოქაულისათვის მოტაცებულს ქალს ჩვენება მიუცია, რომ იგი მისის ნებითა და სურვილით მოუტაცნიათ.

*** ის მტკვრის ტოტი, რომელიც იწყება პატარა სატივოდგან და თავდება ბორანთან, სომეხთა ვანქის ტაძრამდე თითქმის გაჩერებულია წყალი და ოდნავ-ღა იძვრის; მისს ნაპირად გაშენებულ სახლებიდგან ჰყრიან აუარებელს ნაგავს და ყოველ გვარ უწმინდურებას. მთელი იმ ღარიბთა სახლობა, რომელნიც სცხოვრებენ მუხრანსკისა, ვანქისა, პატარა ვანქისა, ანჩისხატისა, ფომინისა და სხვა იქ ახლო მყოფს ქუჩებზედ სულ ამ ბინძურის ტოტიდგან ზიდვენ და ხმარობენ წყალს. საკვირველია, რატომ არ აღკრძალვენ ამდენს ხანს ამ ტოტიდგან წყლის ხმარებას.

*** ამ დღეებში თავადი მასალსკი აგრონომ ტიმოფეევთან ერთად წავიდა ბათუმიდამ ართვინსა და არდანუჩს. თავ. მასალსკი გამოგზავნილია სამიწათ მოქმედო სამინისტროს მიერ, რათა დაწვრილებით გამოიკვლიოს მეურნეობის მდგომარეობა ჩვენში. თავ. მასალსკიმ უნდა წარუდგინოს სამინისტროს თვისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა და რა საშუალებით შეიძლება მიწათ-მოქმედებისა და განსაკუთრებით მებაღეობის გაუმჯობესება. სამინისტროს მოხელემ ჩაქვისა და ბათუმის მიდამო უკვე დაათვალიერა («ჩერნ. ვესტ.»).

*** ამას წინად ბათუმში დაუტუსაღებიათ რუსეთში მიმავალი სტუდენტი ერთის დღით. ამის გამო გაზ. „ჩერნომ. ვესტ."-ი ეკითხება, ვისიც ჯერ არს: „რა მიზეზით დაატუსაღეს და ვისის განკარგულებითაო?".

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ: ყოვლად სამღვდელო გაბრიელი დაბრუნდა ბორჯომიდამ და ამ ჟამად გელათში იმყოფება. აქ მოვიდა ამბავი, რომ ეპისკოპოსი კიდევ შეუძლოთ არისო.

*** 4 აგვისტოს დაუწყიათ ქუთაისის ღეატრის კეთება. თუ მუშები ბევრი იყოლიეს, სამ თვეში გაათავებენო, იწერებიან. დეკორაციების დახატვა შეკვეთილი აქვს ორ იტალიელ მალიარს, ჩინებულ მხატვრებს. იმედია, რადგანაც დაიწყეს, ახლა საქმეს ხელს არაფერი შეუშლის და მალე გათავდება კიდეც.

*** როგორც გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ს შეუტყვია, 20 აგვისტოს ფინანსთა მინისტრს ვიტტეს სზღვარ-გარეთიდგან ბორჯომში ელიან; მინისტრი აქ თითქმის ერთს თვეს დარჩებაო.

*** ქარელი: გუშინ-წინ, 10 აგვისტოს, ღამის 2 საათზედ, როდესაც მატარებელი უნდა დაძრულიყო, სოფ. ტეზერის მცხოვრებს გაბრიელ წაფლიძეს, ასე 40 წლისას, რომელიც ცოტა შეზარხოშებულიც იყო, ჰსურდა ლიანდაგზედ გადაერბინა, მაგრამ ამ დროს დაიძრა მატარებელი და გასრისა საბრალო.

*** ჯავახეთი: ეს ერთ თვეზედ მეტი იქნება, რაც ჯავახეთში წვეთი წვიმაც არ ჩამოვარდნილა ♂ ჰირნახულს მეტის მეტმა გვალვამ და სიცხეებმა საქმე გაუჭირვა. თუ ეს გვალვები არ დაეჭირა, წელს აქაურს მოსავალს მოსავალი არ დაედრებოდა, მაგრამ ეხლა-კი საიმისო მოსავლის იმედი აღარა გვაქვს. ჰირნახული აქაც გასჭრეს.

## დამაკვირდი

—

უფრო ადვილია მთელის კაცობრიობისათვის იყოს ადამიანი კეთილი, ვიდრე კერძო პირისათვის.

**

ნურავის დაუწყებ კამათს—მაინც ვერავის დაარწმუნებ. აზრი ღურსმანს ემზგავსება, რომელსაც, რამდენსაც ბევრსა სცემ, იმდენად უფრო ღრმად და ღრმად მიდის იგი შიგნით.

**

სიყვარულის დროს სიტყვა „მშვიდობით" უკანასკნელად არას დროს არ ითქმის ხოლმე.

ალექსანდრე დიუმა-შვილი.

## კორესპონდენცია.

—

**კახეთი,** (თელავის მაზრა). ვინცკი ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს თვალ-ყურს ადევნებს, ის, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ამ მხრივ კახეთი შედარებით საქართველოს სხვა ნაწილებთან უკან არის ჩამორჩენილი, რასაც ცხადად გვიმტკიცებს სკოლების რიცხვთა სიმცირე და მასთან სახალხო სამკითხველოებისა და წიგნთ-საცავების სრულიად უქონლობა. საკვირველიც არის, რომ ისეთ სოფლებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 400—500 კომლს აღემატება, სკოლა არ იყოს? და ამისთანა სოფლები ბევრია კახეთში.

რას უნდა მივაწეროთ ასეთი უნუგეშო მოვლენა, თუ არ ჩვენის მღვდლებისა და სოფლებში მყოფ ზოგიერთა განათლებულ და შეგნებულ პირთ უზრუნველობას უმეცარ ხალხისათვის, რომელიც სწავლის სარგებლობის ახსნას და ჩაგონებას საჭიროებს. ეს, როგორც მოგეხსენებათ, მღვდლის, მასწავლებლისა და ყველა შესმენილ ქართველის უწმიდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ახლანდელ დროში ყოველი ჩვენგანი სკოლებისა და სამკითხველოების გამრავლებას უნდა ცდილობდეს, რათა გავრცელდეს სოფლებში სწავლა განათლება, ხალხს გაეხსნას ხალისი წიგნების კითხვისა და ჩაენერგოს გულში სიყვარული სამშობლო ენისა.

თუმცა სოფლის სკოლებიდგან ბევრი გამოდიან წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ გამოსვლისათანავე სკოლასთან ზნეობრივ კავშირს ჰკარგავენ და რამდენიმე წლის შემდეგ თითქმის სრულიად ივიწყებენ სკოლიდგან გამოტანილს სწავლას. აი ამ არა სასურველის მოვლენის თავიდგან ასაცდენად, ყოველ სოფელში, სადაცკი სკოლაა, საჭიროა წიგნთ-საცავებისა და მასთან სამკითხველოების დაარსება.

წარსულ წელს კახეთში გამოჩნდნენ თავისს მოძმეთათვის რამდენიმე გულ-შემატკივარი პირნი, რომელთაც განიზრახეს ყვარელში წიგნთ-საცავის დაარსება. ამათ თავისს თხოვნით თელავის მაზრის უფროსს მიჰმართეს, რომ მას თავისს მხრივ ტფილისის გუბერნატორის წინაშე ეშუამდგომლა და ნება-რთვა გამოეთხოვა, მაგრამ, არ ვიცი-კი რა მიზეზით, მაზრის უფროსმა ეს თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა. მდგომარე წელს-კი პირდაპირ გუბერნატორს მიეცა თხოვნა, ყვარელში წიგნთ-საცავისა და მასთან უფასო სამკითხველოს დაარსების შესახებ, და ყვარელები დღე-დღეზედ მოელიან ნება-რთვას. ეს პირველი მაგალითია კახეთის სოფლებში ამგვარის სასარგებლო საქმის დაწყებისა; ღმერთმა ქნას—ეს კეთილი განზრახვა განხორციელებულიყოს და მომავალში შესაფერი ნაყოფი მოეტანოს! ჩვენ-კი მოვალედ ვრაცხთ თავს მივმართოთ ყველა იმ შეგნებულ პირთ, რომელთაც გული შესტკივათ თავისს მოძმეთათვის და ვთხოვოთ ყვარლის წიგნთ-საცავს და უფასო სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინონ ფულით ანუ წიგნებით და ჟურნალებით. აგრეთვე მივმართავთ ჩვენს ყველა მწერლებს, პოეტებს, თავიანთ თხზულებების თითო-ოროლა წიგნი მოგვაწოდონ და მით სწავლა-განათლებაში ჩამორჩენილ კახეთს მოჰფინონ ნათელის თავიანთი გონების ზეგარდმო მინიჭებულ სხივისა. უმორჩილესად ვთხოვ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ამასთანავე წიგნების გამომცემელ ამხანაგობას მოგვაქციონ ყურადღება და მათ მიერ გამოცემული წიგნები მოგვაწოდონ.

ვთხოვთ რედაქციებს ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებისას ნახევარ ფასად მაინც დაგვითმონ თავისი გამოცემანი, ხოლო „ივერია", რომლის რედაქტორად ყვარლის სასიქადულო შვილია, უფასოდ გვეგზავნებოდეს.

ფული, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ამ ადრესით შეიძლება გამოიგზავნოს:

Телавъ—Кварели. Егору Михайловичу Гомелаури.

უმორჩილესად ვთხოვთ ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთებს ამ წერილის შინაარსი გადაბეჭდონ.

დაბოლოს სიხარულით უნა აღვნიშნო კახელების ცხოვრებაში ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენა. სოფ. შილდაშიაც ცდილობენ გონებით გამოფხიზლებას და წარმატების გზაზედ გამოსვლას. რამდენიმე პირთ განუზრახავთ უფასო სამკითხველო და დეპოს დაარსება; საქმეს უკვე შესდგომიან. ღმერთსა ვთხოვ, ჩვენშიაც გამოჩენილიყვნენ „მახხანელები" და და დაეხსნათ ჩვენი ისედაც ტყვეგამძვრალი ხალხი წურბელა-ვაჭარ-ჩარჩებისაგან!

მეთვალყურე.

—

**ს. ჭოპორტი,** (დუშეთის მაზრა). ამ ორის წლის წინად სულ სხვა სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა ჭოპორტი, ვენახებით და სხვა-დასხვა ნაირი ხეხილებით შემკული. ამ ჟამად-კი გული ეტკინება ადამიანს მისი ნახვით. გიჟმაჟი არაგვი სოფელზედ ზედ მივარდნილა და თითქმის ნახევარი სოფლის ვენახები სულ ერთიანად მოუგლეჯია. ეს არ უკმარებია და დღესაც მდინარე ებრძვის და ჰგლეჯავს ცოტ ცოტაობით ძვირფას მამულებს; ერთი მოდიდებაც და უეჭველად შუა სოფელზედ არხეინად ჩ აისეირნებს ჩვენი გიჟმაჟი არაგვი. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ამისდა მიუხედავად არხეინად შესცქერიან ჭოპორტში მცხოვრებნი თავისს გაჭირვებას და არაფრისათვის არა ზრუნავენ. აქ რასაკვირველია ერთი მოთავე შეგნებული და გულ-შემატკივარი კაცი არის საჭირო. ამ მდინარის გადაგდება სხვა მხარზედ, მაინ-და-მაინც ძრიელ საძნელო არ არის, და თუნდაც რომ საძნელო იყოს, მეტი გზა არ არის, უნდა შეეცადნენ სოფლის მცხოვრებნი ამავე შემოდგომაზედ; თორემ, თუ გაზაფხულამდის დარჩა, მაშინ, მშვიდობით ჭოპორტის მამულებო. მდინ. არაგვი ამ ჟამად იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვის ზვრამდის მისულა და რამოდენიმე ნაწილი კიდეც ჩამოუგლეჯია ზვრისთვის. ბ. იოსებ მოზდოკელოვი, ცნობილი შეძლებული კაცია; ძლიერ სამადლობელსა და სასულიერო საქმეს იზამდა, რომ მოთავეობას გაუწევდეს სოფ. შოპორტში მცხოვრებთ და თავისის დახმარებით და მეთაურობით გადაარჩენდეს მდინარისგან განად-

გურებას თავის მშვენიერს ზვარსაც და მთელის ჭოპორტის მამულებსაც...

მგზავრი.

95 წ. აგვისტო.

---

## ახალგაზდა პესსიმისტს.

რას მოგწყენია, მაგრე მწარედ რად დაღვრემილხარ,
თვალ-ცრემლიანი რად გაჰყურებ ცისა კიდესა?
რამ შეგაშფოთა, მხნე გულ-მკერდი რამ აგიღელვა,
რა ოხვრა-კვნესით ჰგმობ და სწყევლი გაჩენის დღესა?

რისთვის ემდური მიუწდომელს ღვთისა განგებას,
ვითომ რა გინდა, რა გაკლია, რა გენატრება?
დაფიქრდი, ძმაო, რა სიუხვით გიძღვნა ბუნებამ
ენა მეტყველი, ჭკუა, გრძნობა, ღვთისა ხატება.

შეხედე ზეცას, დაუკვირდი მისსა მშვენებას—
მზესა და მთვარეს მოკაშკაშეს, მოთინათინეს—
და მერე თვალი გადაავლე ქვეყნის კაბადონს,
უთვალავ ფერად მოელვარეს და მობიბინეს!..

თუ არ კაცთათვის, რისთვის არის ეს გაჩენილი?
რას აქვს მსოფლიოს ხელმწიფება, თუ არა შენა,
რას შეუძლია თვისი ფიქრი სიტყვად აქციოს,
ტკბილის ჰანგებით ამეტყველოს გული და ენა!..

მაშ რაღას სტირი, რა გაწუხებს, რად ხარ უსასო,
გამჩენს რისთვის ჰგმობ,—„წუთისოფა გამიმწარეო“—
მას რას-ღა მოვთხოვთ? აკი ერთხელ დაგვიდასტურა:
„ცა და ქვეყანა ადამისთვის დავამყარეო“!..

ნუ სტირ, ძამიავ, არ შეგფერის ასე ლაჩრობა:
ვაჟკაცის ცრემლი ტყვია არის ადუღებული.
აღსდეგ, გაიხნევდი, მოიხმარე შენი უფლება,
დიაცივ გძაგდეს მაგრე მხდალი, აცრემლებული!..

განდეგილი.

10 აგვისტო.

---

## წერილი გორიდგან.

გორის ქართველს საზოგადოებას ურთიერთობის გრძნობის ნაკლებობას სწამებენ. ორი ნასწავლი ქართველი აქ ერთად ვერ მოთავსებულა; მათ შორის მტრობასა და შურს გაუბამს წყეული ქსელი სიძულვილისა. აქაური ინტელიგენტები ერთი ერთმანეთს არ ენდობიან, არას უჯერებენ და თითოეული მათგანი-კი „გენიოსად“ სთვლის თავისს თავსა. ერთს დროს აკაკის მიერ ნაქები გორი, „მეთაური ქართლისა“ და „მთქმელი მართლისა“, დღეს გადაქცეულა „ქართლის კუდად“ და „მეთაურად ჭორისა“... ყველგან შეხვდებით ცხოვრების სიფუჭის მაჩვენებელ გართობათა: აქაურს „კლუბში“ ინტელიგენციის უმეტესობა შემოსხდომია სათამაშო სტოლებს და ბანქოს თამაშობით გატაცებულია; *) ბანქოს თამაშობა მათ «წმიდა-წმიდა»-თად მიაჩნიათ და მას სწირავენ მთლად თავისს სიცოცხლეს და ქონებასა... ლამაზი სქესი-კი გატაცებულია „ლოტოთი“... მე რომ მკითხოთ, გორს რის ქალაქს უწოდებო?—უეჭველად დავარქმევდი მას „ქალაქს ლოტოსას“ და ან „ქალაქს ჭორისას“... «ლოტოს» თამაშობით ისეა გართული აქაური მანდილოსნობა, რომ თვეში ერთხელ თუ არ გამართეს, როგორც აქ უძახიან «ლოტოს ვეჩერი», დიდი მომაკვდინებელი ცოდვა იქნება. არც თეატრი, არც უფასო და ძ.უნდ ფასიანი სამკითხველო, არც საავადმყოფო, აქ არ არსებობენ.

რაც ვერ შესძლო ქართველმა მომწიფებულმა ინტელიგენციამ, ის შესძლო მცირე გუნდმა აქაურ ქართველ ახალთაობისამ... მან გამართა ქართული წარმოდგენა 4 აგვისტოს საქველმოქმედო აზრით: სასარგებლოდ გორის სამაზრო საპყრობილის წიგნთ-საცავისა. ბევრი დაბრკოლებას ვადაღლობა წინ ახალგაზდობის სურვილსა,— „საზამთრო კლუბის“ ზალის მიქირავებაზედ უარს ეუბნებოდნენ ზოგიერთი წევრები „კლუბისა“ არა ქართველის ტომისა. მაგრამ ყველა დაბრკოლება ძლეულ იქმნა. მაზრის უფროსმა თავ. რ. ერისთავმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა ახალგაზდობას მათის კეთილშობილურის სურვილის განსახორციელებლად. წელიწად-ნახევარზედ მეტია, რაც გორში ქართული წარმოდგენა არ ყოფილა. წარმოდგენილ იქმნა მეორე მოქმედება ზ. ცაგარლის კომედიიდგან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“, და ვოდევილი ვ. გუნიასი—„არც აქეთ, არც იქით“, წაიკითხეს ქართული ლექსები ი. ჭავჭავაძისა, აკაკისა, დუტუ მეგრელისა, ცახელისა და სხვა და იმღერეს რამდენიმე ქართული სიმღერა; წარმოდგენა ლეკურით გათავდა. ხალხი ბლომად დაესწრო ამ წარმოდგენას და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. ყოველს მონაწილეს ამ წარმოდგენაში, ეტყობოდა, რომ მშობლიურის ენის სიყვარულით იყო გატაცებული. ყველას მშვენიერად შეესწავლა როლები და ისე იქცეოდნენ სცენაზედ, როგორც გამოცდილი არტისტები.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ბ.ბ. ნიკო თვალიაშვილმა, კ. ხ—ლმა და გ. კლიმიაშვილმა ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზედ თვისის ხელოვნურის თამაშობით. მათ შორის ბ. კ. ხ—შვილი მშვენიერად ასრულებს როლს კინტოსას (ავეტიქა) და ვარდყინჩაძისას. აგრეთვე მშვენიერად წარმოადგინა ქართველი გლეხის როლი; მისმა გლეხურმა ცეკვამ „ცანგალა და გოგონას“ მღერის დროს საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოიყვანა და ცეკვა რამდენჯერმე გაამეორებინა. ბ. თვალიაშვილმა ხელოვნურად შეასრულა გიქუას როლი და აგრეთვე როლი ტარასი მშიერაძისა. მანვე საუცხოვო გრძნობით წაიკითხა სცენაზედ რამდენიმე ლექსი. ბ-ნი კლიმიაშვილი-კი შეუდარებელია ურიის როლში,—თითქოს განგებ ამ როლისთვის იყოს დაბადებული. მეწვრიმალე ურიის აბრამ ბალიას როლის ასრულების დროს მან დამსწრე საზოგადოება სიცილით დახოცა; დანარჩენებსაც კარგად შეესწავლათ თავიანთი როლები. სიმღერათა შორის, საზოგადოებას მოეწონა „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“. მომღერლებში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბ. გიგო ხუციშვილმა. მას საუცხოვო რაკ რაკა ხმა აქვს, რომელსაც ათასს ხმაში გაარჩევს კაცი. წარმოდგენიდგან წმინდა მოგება დარჩა 55 მანეთი, რომელიც გადაეცა საპყრობილის კომიტეტს წიგნთ საცავის სასარგებლოდ.

ინ—ფარი.

*) კლუბის ინტელიგენტები ყოველგან ასე ატარებენ დროს, და ბ-ნი კორესპონდენტი ტყუილად ურისხდება მარტო გორელებს.

რედ.

---

## მგზავრის დღიურიდგან

(გზა-და-გზა)

სოფელი სალამო და იქაური ძველი ეკკლესიები.—სალამოს ტბა.

შუადღიდგან გადასული იყო ერთი საათი, რომ სოფ. ფოკას (ახალქალაქის მაზრაშია) ამოვედით. ს. ფოკა მდებარეობს ახალქალაქ-გუმბრის გზიდგან ჩრდილოეთის მხარეს, თაფარავნის ტბის პირას, სწორედ იქ, საიდგანაც მდ. მტკვრის ტოტი—„თაფარავან ჩაის“ სათაური იწყება. ამ „თაფარავან ჩაის“ (თაფარავნის მდინარე) სათაური გამომდინარეობს თაფარავნის ტბის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდგან, სოფ. ფოკის გვერდში.

სოფ. ფოკაში სცხოვრებენ მხოლოდ სომხები და სომხების ეკკლესიის გარდა აქ არის ერთი ძველი ქართველების ეკკლესია, რომელიც თავისს დროზედ რიგიანი ეკკლესია ყოფილა, როგორც ჰმოწმობენ მისი დღემდე დაშთენილი მაღალი თლილის ქვის კედლები, რომლებიც ჟამთა ვითარების გამო დანგრეულან და განადგურებულან... მდ. „თაფარავან-ჩაი“ ტბიდგან რომ გამოდის, სოფ. განძამდის (სომხების სოფელია, სადაც არსებობს ერთ-კლასიანი სადირექციო სკოლა) დასავლეთისკენ მიიკლაკნება (ს. ფოკიდგან განძამდის 4—5 ვერსი იქნება), განძიდგან-კი მდინარე უხვევს სამხრეთისკენ და მიდის თარაქმების სოფ. სალამოსკენ და აქ, სალამოს, ერთვის სალამოს ტბას, რომელიც ირგვლივ იქნება 5—6 ვერსი. ამ ტბის აღმოსავლეთის თავში მდებარეობს ხსენებული სოფელი სალამო. სალამოში სამი მოზრდილი, წითელი ნათალი ქვით აშენებული ეკკლესია ვნახეთ: ერთი სოფლის ნაპირას, სამხრეთისკენ და ორი შიგ შუა სოფელში. სოფლის ნაპირის ეკკლესია კარგად შენახულა,—ცოტა პატარაა, მაგრამ მეტად კარგი ნაშენია; ხოლო შუა სოფელში ორი ეკკლესია-კი დანგრეულია და მხოლოდ კედლებით მტკიცდება მათი სიდიდე. ერთი ამათგანი, როგორც ეტყობა, საკრებულო ტაძარი უნდა ყოფილიყო.

ს. სალამო მეტად სასიამოვნო ადგილმდებარეობისა და ბუნების სოფელია: წინ გადაჭიმული აქვს ტბა, რომელიც შემოზღუდულია მომაღლო საძოვრიანის მთებით, ზემოდგან სოფელს წამოჭიმული აქვს ვეებერთელა მაღალივე მწვანე მთა, განაპირას პატარა ეკკლესიის ძირობებიდგან მრავლად და უხვად გამომდინარეობენ ანკარა ლურჯი ცისფერი ცივი წყაროები, რომლებიც ტბაში ერთვიან და ამ უკანასკნელს ხუთი-ათი საჟენის სიშორით ლურჯს ფერს აყენებენ (ტბა მოთეთრო ღრუბლის ფერია და როცა ანკარა წყაროები შედიან, რამდენსამე მანძილზედ წყაროს წყალი თავისს ფერს არჩევს ტბის წყლის ფერისაგან).

ს. სალამო კიდევ იმითია შესანიშნავი, რომ სოფლის პირდაპირ, ჩრდილოეთის მხარეს, ერთ მაღალ მთის წვეროზედ აშენებულია ძველი ეკკლესია, რომელიც მედიდურად და ამაყად გადმოჰყურებს, როგორც თვით ტბას, ისე სოფ. სალამოს და იმ არემარეს. საყდარი ახლო არ გაგვისინჯავს, მაგრამ როგორც გვიამბეს და სჩანდა კიდეც, საკმაოდ ახალი უნდა იყოს; ალბად მკვიდრად ნაშენობისა გამო დროთა ბრუნვას და გარემოებას თავისი დაღი ისე რიგად ვერ დაუჩნევია... სად არ ყოფილან აგებულნი ჩვენი დიდებული საქართველოს ტაძარნი, მონასტერნი, სოფელნი და ქალაქნი უწინ, მკითხველო, მაგრამ დღეს-კი ყველა ესენი აღგვილან დედამიწის ზურგიდგან და ცოტა ხანიც რომ გავიდეს, იქნება მათის ქვის ნატეხიც აღარ სად მოიპოვებოდეს... ნუ-თუ მართლა, როგორც ამას წინად „ივერიაში“ ჰღაღადებდა პატივცემული „ვინმე ხუცესი“, ძალიან ძვირად დაუჯდებათ ჩვენის საქართველოს უძვირფასესის ნაშთების მოყვარეთ, ისტორიკოსებს, არხეოლოგებს და ფოტოგრაფიის სურათების გადამღებს ბ. ალექ. რიონაშვილს ყველა ამ ისტორიულ ნაშთების აღწერა-გამოკვლევა გამოძიება და გადაღება, რომ საუკუნოდ მათი (ნაშთების) გაქრობა დედამიწიდგან არ მოხდეს?!..

მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი აღწერა. „თაფარავან-ჩაი“ სალამოს ტბაში ერთვის-მეთქი, სალამოს ტბიდგანაც დასავლეთის მხარეს, ხევში გადადის და აქედგან (დასავლეთისავე მხარეს)—ახალქალაქისაკენ მიისწრაფება.

ტბა თაფარავანი მეტად დიდია—ირგვლივ თითქმის 20—30—35 ვერსი იქნება. გარეშემო შემოკრალი აქვს დაცემული და მთიანი (საძოვარი და სათიბი) ადგილები.

ტბაში კუნძული არსად არ მოიპოვება. ს. როდიონოვკას პირ-და-პირ, ტბის გაღმა, დასავლეთის მხარეს ს. როდიონოვკიდგან მდებიარეობს სოფ. შაშკა.

ვ. კოპტონაშვილი.

სოფ. ჩუნჩხა
4-ს აგვისტოს 1895 წ.

---

## ჩვენნი ისტორიულნი ნაშთნი და მათი ხვე.

წერილი მეხუთე.

ამ წერილში მოგახსენებთ ჩემს ნახულს და მის მნიშვნელობას ჩემის აზრით.

მე გახლავართ ახალციხის ძველს ნაწილში „რაბათში“, საიდანაც ახალ ნაწილს ქალაქისას და მთელს მიდამოს, აღმოსავლეთით-ფოცხოვის სადევარს და დასავლეთ ქვაბლიანის კეობას შეჰყურებთ და ხელის გულზედ მოჩანან ეს მიდამოები. ამ ძველ ქალაქში ტრიალებს ის, რაც მოგაგონებს სინამდვილით სიძველესა ამ ქალაქისას. აქ მოსახლეობენ ძველნი და ახლად მოსულნი ქართველნი, «ფრანგნი», ურიები და ნარდად მოვაჭრე სომხები. ვაჭრობას აჭარელები აწარმოებენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ის ძალმომრეობითი ადათი სჩაგრავს აჭარელს და აძლიერებს მოვაჭრეს. იყიდის ორ საპალნეს, მოვიდა 6 ფუთი, ან ნაკ. 10 გირ. თითო გოდრის წონას მოვაჭრე გამოდის 25 გირ. „ადათია შვილოო“, ასე რომ ფუთსა და ათ გირვანქას აკლებს, როდესაც არ მოვიდოდა ის ორი გოდორი 30 გირვანქა. ამგვარ „ადათს“ მიხედვით ყოველ შემთხვევაში ხმარობენ. ამიტომაც არის, რომ აჭარელი კაცი ნდობით არ უცქერის სომეხს და ცოტა არ არის სძულს სომხობასაც ეშინიან აჭარელებისა, რასაც ქვემოთ დავინახავთ. გული გინათლდება მათ ძველებურს ერთმანეთში ლაპარაკს რომ ყური დაუგდოთ! სომხები სულ თათრულად ელაპარაკებიან, თუმცა ქართულადაც ეხერხებათ, მოვაჭრენიც, გარდა ქართველებისა და ვისაც ესმის ადვილი მისახვედრელია და დიდი გამოცანა არ უნდა, თუ რა მისიას ასრულებენ ეს „სტამბოლიდან მოსული სომხები“ და რა სიკეთეს სთესენ!

ჩაივლი ახალი ქალაქისაკენ და თუ გესმის ქართული, ისიც ურიებისაგან, რომელნიც მშვენიერის ძველის ენით მოსაუბრობენ. საცა უნდა იყოს, სულ ქართულად ეკითხება და ეპასუხება, თუმცა-ღა არ ჩამოერთმევა თათრულსა და სომხურის ენების ცოდნა. ბარაქალა ისევე ამ „ისრაელებსა“, რომელთაც ღირსეულად დააფასეს და აფასებენ ქართველთა ძმურს დახვედრას და პურ-მარილსა! ჩაივლი ქვემო ახალ ნაწილში და „ეს წო! ვა!“, გესმის მეტი ვერა გაამებს-რა მკითხველო, თუ გიამებათ სტამბოლური სომხური. ერთი მუშა რომ გინდოდეს, კურტნიანი რაჭველი არ არის. იმ ძველ ნაშთებსაც აღარ ასვენებენ და ძალმომრეობითად იჩემებენ! ამაზედ მეტი დამცირება და შეიძლება, რომ ადგილობრივი სასულიერო წოდება თხოულობს ამ ადგილს, მომეცითო ადგილი ეკკლესიისათვის, სამრევლო სახლისათვის და სკოლისათვის და არ აძლევენ! აგერ ორი წელიწადი მეტია. ქვა თლილი-კი მზად მოპოებული აქვს, როგორც ზემო წერილებში მოვიხსენიეთ. აი როგორი წესი და რიგია ამ ახალციხეში! გასაკვირველია ღმერთმანი! „ჰაირიკი“ თურმე შეეკითხა მოხუცებულთ და გაიგო თუ როდის მოსულან აქ სომხები და ვინ“. მახლას, რა იქნება? ბოლო აჩვენებს. აქაურ სომხობას ფრთები აქვს შესხმული და ძალიან ქომაგნი არიან ერთი-ერთმანეთისა. ერთი კოპაძე, ეხლა ტერტერა არის; კპიანცად იწერება, ქართველი-კი ყოფილა. კოპაძე რა გავიკვირო, როდესაც ქართველ კათოლიკებს „ფრანგებს“ მოელის სომხების ყბა და დღეს იქნება თუ ხვალ ამათ უნდა ჩასნსთქან ეს ამოდენა ქართველობა 30,000 სული ერთი ვიღაც არარატიანცის ენის მეოხებით! აღუკრძალეს ქართულად წირვა-ლოცვა და დააკისრეს სომხურად! დიდი უბედურება არის და დიდი მარცხიცა მართლ-მადიდებელთათვის! ამ გუშინდელ მოსულ ერს აძლიერებენ და საუკუნოებით მოსახლე ხალხს-კი აუძლურებენ? ეს ჩვენისავე დაუდევრობით და „ფრანგთა“ ჯიუტობით არის. აი მოგახსენოთ შემთხვევა: ერთ სალამოს ჩავიარე ფოცხოვის პირას და ვნახე ხუთი ბავშვი

თევზაობდნენ ნემს-კავით; რომელიც დიდი იყო (16 წლ.) იმასა ვკითხე. ვინახარ-მეთქი შენ (მე მინდოდა გამეგო ტომ)ი შვილო! მე ფრანგი ვარ. სამჯერ ვკითხე და სულ ეს პასუხი მომცა. მეორეს, მესამეს, სულ ეს პასუხი მომცეს. მერმე მე ვუთხარი: ,,შვილო! ფრანგი სარწმუნოებაა და არა ხალხი, ტომი, ამიტომ რომ ფრანგი იქნება ქართველი, თათარი, ურია, სომეხი, რუსი, ოსი და ხხვ. ახლა თქვენ რომელს ეკუთვნით? მაინც იმას იმეორებდნენ. ბოლოსა და ბოლოს სთქვა, სომეხი ვართ. გვარი დაბოლოვდა: ერთისა ძე, მეორის შვილი, მესამესი ოვი,—სახელები კარაპეტა, გეურქა, ასატურა, მაჩქატურა და სხ. მე გამიკვირდა ამ გვარი ამბავი. ახლა მეორე დღეს მივდიოდით მე და ხუცესი რაბათის ბაზარში. ვნახოთ ერთი ფრანგის დუქნის წინ ორი პატარა ბავშვი (6 და 7 წლისები) „ძიძგი, ძიძგი! მამალსავბ თითებს უსვამდნენ,“ ი, ი, ქართველო! ი! ი! ქართველოო!“ მე გონს ვერ მოვედი გაოცებისაგან. უთხარი ჩემს თანამავალს ხუცესს, „ეს, რა ამბავია მეთქი, მამაო? ნუ თუ ესე გამწვავებულია სიძულვარე ამ ერთ-კარც მოძმეთა შორის მეთქი?!“

ავედი მოღუაწე პატრი მამა ივანე გვარამაძესთან (ტერ-ოჰანეზას უძახიან ეხლა), შევჩივლე ეს მოვლენა და პირ-და-პირ განვუცხადე ჩემი უკმაყოფილება ბავშვების საქციელის გამო. არა სჯობდა რომ ისევე ლათინურ ენაზედ ელოცნათ და სომხის ტიბიკონი არ შეეტანათ? თუ ამ ათმა თუ ხუთმა წელიწადმა ესე იმოქმედა, ბოლოს რაღა იქნება? სამწუხარო შედეგი მოსდევს, სამწუხარო!!

16 ივლისს საღამოს რაბათში დასეირნობდნენ პატარაბიჭები ფრანგისა; დიდრონებიც იყვნენ. დაიწყეს „ჰაირიკ-ჯან, ჰიასტან“-ს სიმღერა და ისეთის აღტაცებით მღეროდნენ, რომ თვით სომეხიც ვერ იმღერებს. იმ დროს იქ ქვეით უბნელი არავინ ამოდის. ღამის ათ საათზედ უფროსმა დაუძახა ქართულად, ახლა შვილო წავიდეთ წმ. მარინეში, იქ ვნახოს თამაში და იქ-კი არ გაბედოთ აი! ამან უფრო შემაწუხა. მაშ სჩანს რომ ესენიც მღერდნენ „ჰაირიკის“ მოსვლას ახალციხეში, ბევრნიც ყოფილიყვნენ! დუქანში ზის, ხელსაქმობს ვაჟკაცი და „ტერ-ოორმიას კილოზედ“ ქართულს ლოცვას ჰგალობს. განა აქამდისინ მივიდა საქმე, რომ ამ წამებულს ენას დუქან-ბოსელი-ღა დარჩა და „ფრანგთაც“ უარ-ჰყვეს? ერიჰა! საქმე სულ წასულია მაშ და უბრალოდ ნუღარავინ იქადის ერთობის სახელით! რამდენიმე ათასის წლის მოძმე ერი ამოსდგომია გუშინდელ მოხეტიალებულს გვერდში და თავგამომეტებით იძახის „კეცე, ჰაირიკსა“! და თვის მოძმის სისხლ-ხორცს „ესჯულოს“ უძახის; ვისაც უნდა ქართველები ძმად, ძმურადაც მოექცეს და გვერდში ამოუდგეს! ჩვენთან კაცანი და სხვაგან კვერცხის დება ვერაფერი მოსაწონი წესია. თუ ასეთი ამბავია ქალაქში, არც ნაკლებია სოფელში, სადაც მაგისთანა მაგალითს ბევრს შეხვდებით ვალეში, ბარალისში, უდეშიაც(?).

ზანავში შევხვდა ერთი მოლა ბაქრაძე; კარგად ლაპარაკობდა ქართულად და გზაც გამოგვასწავლა სმადისაკენ, რომლის ეკკლესიის წარწერა ჩემს წინანდელს წერილში ვერ მოჰყვა. ძალიან თავაზიანად და პატიოსნად მოგვეპყრა. მე რამ გამაკვირვა: სომხობა შემოჰხვევია ახალციხეს ესე 12—15 ვერსის მანძილზედ და რაც კარგი ადგილებია, იმათთვის ურგუნებია ბებუთოვს 1827—28 წ. და ხატისოვს ამ ბოლო ხანებში და დღეს ერთობ გაჯეჯილებულან სომხები, ჰყლაპავენ ფრანგებსაცა, ანგრევენ ძველს ნაშთებს, წარწერებს სპობენ და ჩვენ-კი ესე გვძინავს. დრო არის, დრო თვალები მოვიფშვნიტოთ, მივიდეთ ახლო, ვნახოთ ეს მოკაკანე ქათმები და ერთი ვილონოთ რამე ნაშთების შესახებ.

დასასრულ, დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი როინაშვილი, რომელსაც მოუვლია დასახელებულნი ადგილები და გადმოუღია.

ვინმე ხუცესი.

9 აგვისტო.

## სხალტის ხეობის გათათრება.

II

ლაპარაკობდნენ ძველად, რომ სხალტის ზარები და ბევრი რამ მიწაშია ჩაფლული, რადგანაც გათათრების დროს ესენი საქართველოში ვერ წაუღიათ და აქაურ ჩუმ ქრისტიანებს ისინი მიწაში ჩაუმარხავთ, რომ თათრებმა არ მოიტაცონო. ძველად ხიმშიაშვილებმა იცოდნენ ეს ადგილი, სადაც მარხია ყველაფერი სხალტის ეკკლესიისაო. ზოგნი ამბობენ, რომ ვითომც ხიმშიაშვილებმა იგინი ერთ დროს ამოიღესო.

ტბეთის ეკკლესიის ხაზინაც იქვე მის ახლო-მახლო უნდა იყოსო; ძველად ეს ადგილები ჩვენში ბევრს ბერიკაცებს და დედაკაცებს სცოდნიათ, მაგრამ იგინი არავის ეუბნებოდნენ ამას, რადგანაც, რომ შეიტყოს ვინმემ, ის ამოიღებს და წაიღებსო. ოსმალნი მოიტაცებენ და ჩვენ-კი იმედი გვაქვს, რომ ოდესმე ქრისტიანები მოვლენ და ყველა ესენი მათ დარჩებათ; ესენი თათრებისთვის რა საჭიროაო. შემდეგ დროში რომ მოხუცებულთ იმედი გადაუწყდათ და ქრისტიანი ქართველები აქ არ ჩნდებოდნენ და ნამდვილი თათრობა განწესდა, მას შემდეგ ესენიც აღარავის რას ეუბნებოდნენ და მალავდნენ, დედ-მამას თავიანთ ღვიძლი შვილების შიშიც-კი ჰქონდათ. ბერი კაცები და დედა-კაცები დაიხოცნენ და იმ ადგილების ცნობებიც მათ თან გაიყოლეს, სადაცკი მიწაში რამე იყო დამარხულ-დაფლული. სომხებს ხშირად უნახავთ ასეთი რამეები ჩვენში და ყველა ესენი დაუჩემებიათ. ბევრი ჩვენგანაც უყიდნიათ. ხშირად ჩვენი ქალებიც მიჰყიდდნენ ხოლმე მათ ძველ ნივთებს სხვა-და სხვა სავაჭრო რამეეებზედ.

### სხალტის ტაძარი.

(სოფ. ფაჩხას მამასახლისის სულეიმან-აღა მურალ-ოღლისაგან ნაამბობი, იგივე გელაძე). 1893 წ.)

ჩვენის ქრისტიანობის დროს სცხოვრებდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა, ამ მეფეს აქეთ ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუხდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგას, სადაც დღეს სხალტის ეკკლესია სდგას, აქ ყოფილა ერთი ისეთი დიდი მსხლის ხე, რომელიც თავისს ტოტებით მთელს მის მიდამოებს ჩრდილავდა და ჰფარავდაო. თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამე დარჩენა, გათენება; აქ გაათიეს ღამე; თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა. მეორე დღეს ბრძანა, რომ აქ ეკკლესია უნდა გავაკეთოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკკლესიისათვის შენობის მზადება დაიწყეს, მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყეს მოჭრა, მაგრამ რამდენსაც მოსჭრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ ისე შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარიგა ასე, დღეს რომ ხე მოსჭრათ, მონაჭერის ძირს ცულები დაურჭეთ და ისე დასტოვეთ ამაღამ და ხვალამ და აღარ შეერთდებაო. ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაურჭეს, იმ ღამეს ისე დასტოვეს, მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს, რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებია, ცულებიც ისევ ისე წინანდებურად დატოვებულნი იყვნენ.

მალე დაიწყეს ეკკლესიის კეთება. ეკკლესის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე იდგა. კარებში ორ ალაგას ამისი ბოძები გაუშვეს, რომელზედაც უნდა შეებათ ეკკლესიის კარები და აი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისაგან არის დარჩენილიო.

სხალტა კიდევ აი რისთვის დარქმევია ამ ეკკლესიას. როცა ამის შენება დაუწყიათ, ეს ამბები მთელს ამ მხრის ხალხს გაუგია და ვინც ამ ადგილთან შორს იყვნენ და ვერ ხედამდნენ ეკკლესიის შენობას, ისინი ისეთ პირს ჰკითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკკლესიის შენობა ენახათ.

— დიდ' ეკკლესიას სად აკეთებენო? მნახველნი მიუგებდნენ.

— მსხალთან, დიდი მსხლის ხე რომ სდგასო. ეს ხე ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ და შემდეგ დროებში სიტყვა მსხალთან სხალტათ გადაკეთდაო.

ყველაზედ ადრე ახალ გათათრებულ ქართველებში შარბათის სმა სხალტის, მირატის და ტბეთის ხეობაში შემოსულა, რადგანაც აქაური ხალხი უფრო მუშა ხალხი ყოფილა. იმ დროს ყველას ჰქონდა თავისი სვენახი და მარანიო. ახალ გათათრებულთ ხშირად როცა რამე ლხინი ექმნებოდათ ხოლმე, ესენი თავიანთ ქრისტიან ნათესავებს დაჰპატიჟებდნენ ხოლმე და ამათ ღვინის მაგიერ შარბათს მიართმევდნენო, რადგანაც გათათრებულთ აღკრძალული ჰქონდათ ღვინის კეთება და სმაო, მათ უკრძალავდნენ თვით ვაზის მოშენებასაც-კიო.

III

(ნაამბობი დერვიშ ბეგ ბეჟანიძისაგან).

სოფ. წაბლანის და ფაჩხას გვერდით, ერთ მთის ძირობას, სადაც ხოდაბუნის ადგილებია, ძველად ყოფილა ეკკლესია. ეს ეკკლესია თათრობის მიღების შემდეგ დაუქცევიათ და ეკკლესიის ქვები აქეთ-იქით მიუყრ-მოუყრიათ, ზოგი ხალხს წაუღია. ერთი ქვა ამ ხეობის წყლის ნაპირას ჩაგორებულა. დიდი ქვა ყოფილა და ზედ ქრისტე ჯვარცმით დახატული. ამ ქვასთან დედაკაცები მივიდოდნენ ხოლმე, სარეცხს მიიტანდნენ, ჯვარზედ და მაცხოვარზედ შესდგებოდნენ ფეხით და წყალში სარეცხს რეცხავდნენ და ავლებდნენ. ერთ დღეს ერთმა დედაკაცმა მიიტანა სარეცხი, შედგა ქვაზედ და დაიწყო რეცხა. ამ დროს ფაჩხის კლდის ერთ დიდ ლოდს დაუყვირნია იმ ქალისათვის:

— ადექი, გაათავე, წადი, თორემ მოვდივარო. ქალმა ყურადღება არ მიაქცია. კლდემ კიდევ მისცა პასუხი:

— სთქვი რამე, მიდიხარ თუ არა, თორემ საცაა წამოვალო. ქალმა უთხრა:

— ჯანდაბას შენი თავი, მე რას მიყვირი, ჯანდაბას შენი თავი წამოიქეცი და დაიქციო. ქალმა როგორც გაათავა ყვირილი, იმ წამსვე წამოვიდა ის დიდი კლდე და დაეცა იმ ქვას, რომელზედაც ქალი იდგა და ქალი თავის სარეცხით შიგ მოაყოლა და გაქვავდა, ეს საქმეები ალბად იმიტომ მოხდა, რადგანაც ის ქვა ეკკლესიისა ყოფილა და ზედ ჯვარი და წმიდანები ყოფილან დახატულნი. ალბად ღმერთი არ ყაბულობდა მას, რომ ჭუჭყიანის ფეხთ-საცმლით და ჭუჭყიანი სარეცხის გასარეცხათ დედაკაცები ზედ შესდგებოდნენ და სარეცხს რეცხავდნენ; მაშინ ქალები ახალი გათათრებული იყვნენ და ესენი პირის ბადის ხურვას ჯერ მტკიცედ არ იყვნენ შეჩვეულნი. ყველაფერ საქმეებს მოურიდებლივ აკეთებდნენ. მას შემდეგ ზოგი ერთ სოფლის დედაკაცებს 1850 წ. დიდი შიში ჰქონიათ ხოლმე, ესენი წყალზე სარეცხს ვერ წაიღებდნენ დასარეცხათ; ყველას ახსოვდა იმ დედაკაცის ამბავი. დღეს-კი ეს ამბები აღარავინ იცის. ამის გამო ანდაზათ დარჩენილა ხალხში:— ,,რას იძახი ფაჩხის კლდესავითაო“.

ზ. ქ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

სამიწათ-მოქმედო მინისტრის ა. ს. ერმალოვის პეტერბურგში დაბრუნებისთანავე დაიწყებს მუშაობა მის თავმჯდომარეობით კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი კანონები სახელმწიფო მიწათა იჯარით გაცემისა. სხვათ შორის განზრახულია შემდეგი: ადგილობრივ გლეხთა ამხანაგობათ სახელმწიფო მიწებს 12 წლის ვადით უვაჭროთ გარდასცემენ იჯარით. თუ მოიჯარადრენი კარგად წაიყვანენ საქმეს და გარდასახადსაც დროზე გაიხდიან, ვადის გათავების შემდეგ მეორეთ მიეცემათ მიწა ისევ 12 წლის ვადით (,,მოსკ. ვედ.“).

—

6 აგვისტოს შესრულდა 50 წელიწადი, რაც რუსეთში დაარსდა საგეოგრაფიო საზოგადოება. ამ იუბილეს დღესასწაულს გარდიხდიან მომავალის წლის იანვარში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

სოლონიკელი კორესპონდენტი იწერება გაზ. ,,ნოვოე ვრემია“-ში:

„მაკედონიაში აჯანყება დღითი-დღე მატულობს და ძლიერდება. ოსმალო თვისს ჯარებს აგზავნის მაკედონიაში და თითქმის ნამდვილად ომობენ აჯანყებულნი და ეს ლაშქარი. მალე მთელის ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობას დაარღვევს სრულიად აქაური ამბებიო. რუსეთი არ თანაუგრძნობს მაკედონელებს და ოსმალეთმა ცოტა გული მოიცა ამით და უფრო მკაცრი მოქმედება დაიწყოო, მაგრამ სამაგიეროდ ავსტრი-უნგრეთი და ყველა ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები ხელს უწყობენ აჯანყებულთ და ვინ იცის საქმე რით გათავდებაო.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საზღვარზედ ავსტრი-უნგრეთიც აგროვებს თავისს ჯარებს. მთელი მხარე მოძრაობაშია, ომიანობის დრო მოგაგონდებაო“.

—

გაზ. „დაილი ნიუზში“ სწერენ იაპონიიდგან:

„ინგლისელებს ძალიან მხარს მისცემენ იაპონელები სამთა სამეფო კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ ომი გათავებული ნუ გგონიათ, ჩვენ ჯერ რუსეთის ჯავრი უნდა ამოვიყაროთ, ამისთვის საჭიროა ზღვაზედ გაძლიერება და კიდეც ვიძენთ რამდენიმე სამხედრო გემს და ხომალდებსაო“.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** მთავრობამ გააუქმა სავაჭრო ხელშეკრულობა ტუნისისა იტალიასთან. იტალიის გაზეთები ძლიერ გაჯავრებულნი არიან ამ განკარგულებით და დიდად ემუქრებიან საფრანგეთს. ამბობენ, საფრანგეთის მთავრობა ამ დღეებში აგრეთვე მოსპობს ტუნისის ხელშეკრულობას ავსტრიასთანაო.

—

სამხედრო მინისტრმა ცურლიდენმა გამოუცხადა პარლამენტს, რომ მადაგასკარზედ გაგზავნილ ექსპედიციის საქმეები კარგად მიდისო.

—

**ბელგია.** ბრიუსელში ამ ჟამად კრება აქვთ ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტების წარმომადგენელთ. დედა-აზრი ამ კონფერენციებისა, რომელნიც რამდენიმე წელიწადია რაც შემოიღეს, მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტებმა იმოღვაწონ და ეცადონ განათლებულ ქვეყნებს შუა ომიანობა სამუდამოდ მოსპონ და სამაგიეროდ სადავო საქმეების საერთო მედიატორეთა სამართლით გარჩევა დაადგინონ. გაზეთების სიტყვით, წელს ამ კრებას უფრო ნაკლებ დასწრებიან დეპუტატები, ვიდრე წინა წლებში. ევროპის პრესაც ნაკლებ უგდებს ყურს კრების ამ წლის მუშაობას, ვიდრე წინად.

სჩანს, ჯერ-ჯერობით „მუდმივ მშვიდობიანობის“ დამყარება ოცნებაა.

## სასამართლოს მატიანე.

ერთს მოსკოვის საერო სასამართლოში გაირჩა საქმე გაზ. „მოსკ. ვედ.“ რედაქტორ-გამომცემელის ს. ა. პეტროვსკისა.

საქმე შეეხებოდა სტამბაში მცირე-წლოვანს მომუშავეს, რომელსაც მუშაობის დროს ხელი გაჰფუჭებოდა.

როდესაც ქარხნების ინსპექტორმა საქმე გამოიძია, აღმოჩნდა, რომ „მოს. ვედ.“-ის სტამბაში არ იცავდნენ შემდეგს წესებს შესახებ მცირე-წლოვან მომუშავეთა:

1) არა ჰქონდა ნაუწყები ქარხნების ინსპექტორს, რომ სტამბაში მუშაობენ მცირე წლოვანნი 12—15 წლამდე; 2) სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული წესისამებრ; 3) 12—15 წლის მცირე წლოვანთ იღებდნენ სტამბაში უმეტრიკოთ და უპასპორტოთ, მშობელთა დაუთანხმებლივ; 4) არც კანტორაში და არც მუშების სა-

დგომში არ არის გამოკიდებული წესრიგი მუშაობისა და მცირე წლოვანთა სწავლის შესახებ. არ არის აღნიშნული უქმე დღეები და ის სამუშაონი, რომელთაგან მცირე წლოვანნი თავისუფალნი არიან; 5) არ არის სია მცირე წლოვანთა ჩასაწერად; 6) მცირე წლოვანნი 12-15 წლისა დღეში 8 საათზედ მეტსა მუშაობენ; მუშაობენ აგრეთვე ოთხი საათი ზედი-ზედ; 7) ესენი მუშაობენ აგრეთვე ღამეც მიუხედავად იმისა, რომ ღამე მცირე-წლოვანთა მუშაობა სასტიკად აკრძალულია; 8) მუშაობენ აგრეთვე კვირაობით, დღესასწაულებში და სამეფო დღეებში; 9) მცირე-წლოვანთ, რომელთაც არა აქვთ ერთ-კლასიანი სასწავლებლის გათავების მოწმობა, არ შეუძლიანთ იარონ სასწავლებელში, რადგანაც სასწავლებელში წასვლის დროს ისინი მუშაობენ; 10) ყმაწვილებს უწესრიგოდ იღებენ სტამბაში; 11) სამუშაოდ იღებენ ათის წლისაზე პატარასაც.

პასუხის მგებელი არ გამოცხადდა საქმის გარჩევას დროს. მოსამართლე დაერწმუნა ინსპექტორის მიერ წარდგენილს საბუთებს და მიიღო აგრეთვე მხედველობაში, რომ პეტროვსკის, როგორც დიდის გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს, კარგად უნდა ესმოდეს მცირე წლოვან მუშათა შესახებ კანონები და ამიტომ დამნაშავედ სცნო იგი, რისთვისაც მიუსაჯა ასი მანეთი ჯარიმა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მახლობელს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: სადგურ ბაქოს მაშინისტის თანაშემწემ ბ. ებანაიძემ გამართა სია შემომწირველთა ავადმყოფ არტისტის ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ, რომელსაც სიხარულით შევხვდით ყველანი როგორც ჩვენ, აგრეთვე მოსამსახურეები ბაქოსა და აჯი-ქაბულის სადგურზე, რომლისათვის არ დავიშურეთ და ყველამ შეძლებისა და გვარად გავიღეთ წვლილი. ზემოხსენებულმა პირმა ბ-ნ ებანაიძემ შეკრიბა ამ გვარად ოცი მანეთამდე, რომლისა შემდეგ სრული ერთი თვე გადის და არავითარი ხმა-კი არ ისმის არც შემოწირვისა და არც გაგზავნის შესახებ რედაქციაში; ამისთვის ვთხოვ ბ-ნ ებანაიძეს გამოაცხადოს: სად წაიღო და ვის სასარგებლოდ შეკრიბა ფულები, შეიძლება სხვა ვინმე ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ შეკრიბა?

ვასილ ბარკალაია.

სად. აჯი-ქაბული.
1895 წ. 7 აგვისტოს.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხორღოკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,
ბ. მ. მირიმანიანისა,

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—22)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცამარილისა . . . . . | „ | 15 |
| ხეთაგი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—12

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოსიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible]ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

იბეჭდება და მალე გამოვა

ქ. ს. მესხის
დრამატიული ნაწარმოები
სამ წიგნად.

წიგნი პირველი:

1) თამარ ბატონიშვილი, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე, დრამა 4 მოქმედებად.
3) ქარაფშუტა, სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:

1) რუსთაველი, ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) სამშობლოს სადიდებლად, ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) შეშლილია, ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:

1) ირაკლი მეორე, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) ჭირვეული ცოლის მორჯულება, კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც დაბეჭდვამდის, ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაეთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 ეგზემპლიარს ზეტს გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაეთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, ქ. ს. მესხს.

ისყიდება ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული



სურათებიანი წიგნი

ელექტრონი

და

სალაპარაკო მანქანები

შედგენილი მ. იანქოშვილისაგან.
გამოცემული ნიკოლოზ ქარუმიძის მიერ.

ფასი ერთი აბაზი.

ვინც ოც წიგნზედ მეტს იყიდის, იმათ თითო სამ შაურად დაეთმობათ.

(5—1706—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.